

საიდ. №75890/03

### გ ა დ ა ო ე გ ე ტ ი ლ ე ბ ა №72-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ი. მუღლაშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით, განიხილა შპს „მითანას“-ს სააპელაციო საჩივარი (საიდ. №72-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციზე უარის თქმის შესახებ №258/03 ბრძანების ბათილად ცნობა, სასაქონლო ნიშნის „მითანა“ (საიდ. №75890/03) საყოველთაოდ ცნობილად აღიარება და დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, ასევე სასაქონლო ნიშნის „მითანა MEATANA“ (რეგ. №24014) რეგისტრაციის გაუქმება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე (29-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი,

ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის №258/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "მითანა" მსგავსია ფიზიკური პირის, ა ქ-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა "მითანა MEATANA" (№ 24014; რეგისტრაციის თარიღი: 2013.09.13). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნიშნები თითქმის იდენტურია, მათში განსხვავება მხოლოდ სტილიზებული შრიფტი და ლათინურად შესრულებული იგივე სიტყვა "MEATANA", რომელიც არ სძენს ნიშნებს განმასხვავებლობას და აღნიშნული ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 29-ე კლასის განცხადებული საქონლისთვის, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი დაცულია საქპატენტში მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6 ბის მუხლის შესაბამისად. აპელანტის მითითებით, შპს “მითანა” დაფუძნდა 2007 წლის 13 ივნისს და მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „მითანა“ აქტიურად გამოიყენება 2007 წლიდან. იგი წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშანს საქართველოს ტერიტორიაზე. შპს “მითანას” 2007 წლიდან სტაბილურად უჭირავს ქართული ბაზრის 10-15%, შესაბამისად, ამ დროიდან გამოიყენება აღნიშვნა “მითანა”, რომელსაც შპს “მითანა” იყენებს მისი პროდუქციის მოსანიშნად. ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან

დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების (TRIPS) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „იმის დასადგენად, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, წევრი სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სასაქონლო ნიშნის შესახებ საზოგადოების შესაბამის წრეებში არსებულ ცოდნას, მათ შორის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მის შესახებ არსებულ ცოდნას, რაც სასაქონლო ნიშნის რეკლამირების შედეგად იქნა შექმნილი.“ აპელანტის განცხადებით, შპს “მითანა” ახდენდა და ახდენს საკუთარი ნიშნის “მითანა” რეკლამირებას, როგორც ტელევიზიით ისე სხვა საშუალებებით, რამაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად განაპირობა აღნიშვნის ცნობადობა ქართულ ბაზარზე. 1999 წლის 20-29 სექტემბერს პარიზის კონვენციის ქვეყნების გაერთიანებული ასამბლეის და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის „ისმო“-ს (რომელიც ახორციელებს კონვენციის ადმინისტრირებას) ასამბლეის მიერ დამტკიცებული “ერთიანი რეკომენდაციები საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ” (შემდგომში - რეკომენდაციები), მიხედვით ნიშნის საყოველთაოდ აღიარებისას კომპეტენტურმა უწყებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ნებისმიერი გარემოება, რომლითაც შეიძლება დადგინდეს ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობა, მათ შორის:

1. საზოგადოების შესაბამის სექტორში ნიშნის ცნობილობის ხარისხი; აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ცალსახად ადგენს, რომ კომპეტენტურმა უწყებამ არ შეიძლება მოითხოვოს, რომ ნიშანი ცნობილი იყოს საზოგადოების ფართო წრეებისათვის. არამედ, საკმარისია, რომ სასაქონლო ნიშანს იცნობდეს ნიშნით მონიშნული პროდუქციის მომხმარებელი.
2. ნიშნის გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გავრცელების გეოგრაფიული არეალი;
3. საზოგადოებისათვის ნიშნის გაცნობის ხელშემწყობი ღონისძიებები.

აპელანტის პოზიციით, სასაქონლო ნიშანი “მითანა” წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშანს საქართველოს ტერიტორიაზე. ნიშანი “მითანა” 2007 წლიდან გამოიყენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ხორცპროდუქტების მომხმარებელთა შორის. შპს “მითანას” უჭირავს

ქართული ბაზრის 10-15%. ნიშანი “მითანა” სარგებლობს მაღალი ცნობილობის ხარისხით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არამარტო ხორცპროდუქტების მომხმარებელთა შორის, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა რეკომენდაციების თანახმად, არამედ, ზოგადად ქვეყნის მაცხოვრებელთა შორის. ამას ადასტურებს სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც ჩაატარა კომპანია “ACT”. ცნობადობის კვლევა (დანართი №4) ჩატარდა 2014 წლის მაისში საქართველოს 7 უმსხვილეს ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი და ფოთი. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 18 + ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ზემოხამოთვილ ქალაქებში. სულ გამოიკითხა 1001 რესპოდენტი, რომლებიც შერჩეულ იქნენ 2014 წლის აპრილში ცესკოს მიერ მიწოდებული საარჩევნო სიიდან, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. აპელანტის მითითებით, კითხვაზე: გსმენიათ თუ არა ბრენდ “მითანას” შესახებ? 77%-მა დადებითად გასცა პასუხი. კითხვაზე: რა არის “მითანა”? გამოკითხულთა 60%-მა უპასუხა: ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია. კითხვაზე: რა ტიპის პროდუქციას აწარმოებს “მითანა”? 66%-მა უპასუხა: ხორცპროდუქტები, ხოლო 3%-მა-ხორცპროდუქტები/სხვადასხვა, ჯამში ხორცპროდუქტები უპასუხა 69%-მა. კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას (77%) სმენია ბრენდი “მითანა”, მოსახლეობის 60% სპონტანურად დახმარების გარეშე “მითანას” იცნობს, როგორც ხორცპროდუქტების მწარმოებელ კომპანიას, ხოლო 69%-მა იცის, რომ “მითანა” აწარმოებს ხორცპროდუქტებს. აღნიშნული კვლევის შედეგები განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2007 წლიდან შპს “მითანა” აქტიურად აწარმოებდა და სოლიდურ თანხებს ხარჯავდა სარეკლამო კამპანიაში, რამაც უზრუნველყო მისი პროდუქციის ასეთი პოპულარობა მომხმარებელთა შორის და მისი სასაქონლო ნიშნის მაღალი ცნობადობა. კონკრეტულად, შპს “მითანამ” 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით სარეკლამო კამპანიაში დახარჯა:

- 6500 ლარი;
- 412 698,77 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;
- 30 570 ევროს ექვივალენტი ლარში.

აღნიშნულის დასტურად სააპელაციო საჩივარზე თანდართულია შპს “მითანას” მიერ სხვადასხვა სარეკლამო კომპანიებთან, ტელევიზიებთან და რადიოსადგურებთან დადებული სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებები, გადახდის ქვითრები და შპს “მითანას” მიერ მოწოდებული მონაცემები რეკლამაზე გადახდილი თანხების შესახებ (დანართი №5). აპელანტის განმარტებით, შპს “მითანას” ყოველწლიური ჯამური ბრუნვები 2008 წლიდან 2014 წლამდე შეადგენს:

2008წ - 848 600,06 ლარი;

2009წ – 2 033 523,86 ლარი;

2010წ – 3 629 955,68 ლარი;

2011წ – 8 421 544, 54 ლარი;

2012წ – 14 284 641, 67 ლარი;

2013წ – 15 770 993,58;

2014 წლის იანვარი- 1 221 678,00 ლარი;

ჯამში - 46 210 937,00 ლარი, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე თანდართული დოკუმენტაციით. აპელანტის აზრით, ზემოთ მოყვანილი ციფრები ნათლად ასახავს შპს “მითანას” წლიური ბრუნვების ზრდის ტენდენციას, რაც თავისთავად განპირობებულია განხორციელებული მძლავრი სარეკლამო კამპანიით და სწორი მენეჯმენტით. თავად ის ფაქტი, რომ შპს “მითანას” ჯამურმა ბრუნვამ არასრული 7 წლის განმავლობაში შეადგინა 46 210 937 ლარი, ადასტურებს, ბაზარზე თუ რაოდენ ძლიერი მოთამაშეა შპს “მითანა” და როგორი პოპულარობით სარგებლობს იგი მომხმარებელთა შორის. გაყიდვების მაღალი მაჩვენებელი თავისთავად მიუთითებს მომხმარებელთა დიდ რაოდენობაზე და ბრენდის პოპულარობაზე. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები უტყუარად ადასტურებენ, რომ “მითანა” არის საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასაქონლო ნიშანი „მითანა“ აკმაყოფილებს სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ აღიარებისათვის რეკომენდაციებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას.

ამასთან, აპელანტი ალექსანდრე ქამუშაძის წარმომადგენლის შესაგებებელში მოყვანილ არგუმენტებთან დაკავშირებით, მიიჩნევს, რომ

„საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის“ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დადგენილია, რომ „სააპელაციო საჩივარი უნდა ეხებოდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მხოლოდ ერთ განაცხადს“. აღნიშნული ნორმის დანაწესი განსახილველ შემთხვევაში დარღვეული არ არის, რადგან სააპელაციო საჩივრის წარდგენა განპირობებულია ერთ განაცხადზე საქპატენტის უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანით. ამ განაცხადის საიდენტიფიკაციო ნომერია 75890/03, სასაქონლო ნიშანი „მითანა“, რომლის რეგისტრაციაზეც აპელანტს უკანონოდ ეთქვა უარი, რაც შეეხება სააპელაციო საჩივარში ასახულ სხვა მოთხოვნებს (სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება და მოწინააღმდეგის სასაქონლო ნიშნის გაუქმება), ისინი წარმოადგენენ ერთ განაცხადთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის ძირითადი მოთხოვნის (გაუქმდეს ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილება) თანმდევ მოთხოვნებს, რომელთა დაყენებაც არც პირდაპირ და არც ირიბად „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის“ დებულებით აკრძალული არ არის. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მოტივით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნები.“ აპელანტის განმარტებით, მართალია სააპელაციო საჩივარი უნდა უკავშირდებოდეს სასაქონლო ნიშნის ერთ განაცხადს, თუმცა თუ აპელანტი ამ ერთ განაცხადთან მიმართებაში სასურველი შედეგის მისაღებად, სააპელაციო პალატას, აგრეთვე, მიმართავს სხვა თანმდევი მოთხოვნებით (რომლებიც არ უკავშირდება სხვა განაცხადს), რომლებიც აუცილებელია ძირითადი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აპელანტის შეზღუდვა არალეგიტიმურია, რამდენადაც ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის“ დებულებით. აპელანტის მითითებით, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეფუძნება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტს და ექსპერტიზის გადაწყვეტილების უსწორობა მდგომარეობს იმაში, რომ მან

გამოიტანა დადებითი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს მესამე პირის სახელზე. იმავდროულად კანონი ითვალისწინებს რა იმის პრეზუმფციას, რომ ექსპერტიზა არ არის აბსოლუტური, უზრუნველყოფს მესამე პირების მიერ დადებითი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას სააპელაციო პალატაში, რომელიც კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ვალდებულია განიხილოს საჩივარი. აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „თუ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შევა უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი და დაჩქარებული წესით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით იარსებებს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და აქვეყნებს ბიულეტენში.“ მოყვანილი ნორმის შინაარსი ცალსახად მიუთითებს, რომ თუ დაჩქარებული წესით ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ, საქპატენტს განაცხადით მიმართავს სხვა პირი, რომლის ნიშანსაც უფრო ადრეული პრიორიტეტი აქვს, საქპატენტი ვალდებულია გააუქმოს დაჩქარებული წესით რეგისტრირებული ნიშანი, თანაც დამოუკიდებლად ყოველგვარი საჩივრის გარეშე. ამდენად, თუ დადგინდება, რომ აპელანტის სასაქონლო ნიშანი სარგებლობს უფრო ადრეული პრიორიტეტით ვიდრე 2013 წლის 13 სექტემბერს დარეგისტრირებული მოწინააღმდეგე მხარის ნიშანი, მაშინ მისი ნიშნის გაუქმება უნდა მოხდეს ავტომატურ რეჟიმში. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან ადრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად ადრევის შესაძლებლობა. ამავე კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შევა უფრო ადრინდელი პრიორიტეტით

სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი და დაჩქარებული წესით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით იარსებებს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და აქვეყნებს ბიულეტენში. რამდენადაც, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, ხოლო საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შპს „მითანა“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშანი მითანა (საიდ. 75890/03) ალექსანდრე ქამუშაძის მიერ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანამდე წარმოდგენდა საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ ნიშანს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №258/03 ბრძანების ბათილად ცნობას, სასაქონლო ნიშნის „მითანა“ (საიდ. №75890/03) საყოველთაოდ ცნობილად აღიარებას და დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, ასევე სასაქონლო ნიშნის „მითანა MEATANA“ (რეგ. №24014) რეგისტრაციის გაუქმებას „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე.

სასაქონლო ნიშნის „მითანა“-ს (რეგ. №24014) მფლობელი, ა. ქ. არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ქ. წარმომადგენლის განმარტებით, აპელანტის მოთხოვნები სრულიად უსაფუძვლოა და სამართლებრივად არ არის გამყარებული.

მისი მითითებით, წარმოდგენილი აპელაცია არ არის დასაშვები მთელი რიგი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო. საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რომელიც ეხება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას, სააპელაციო საჩივარი უნდა ეხებოდეს ინტელექტუალური საკუთრების



ობიექტის (მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის) მხოლოდ ერთ განაცხადს. წარმოდგენილი აპელაცია კი ეხება სამ ობიექტს (იგივე განაცხადთან), კერძოდ, 1) განცხადება სასაქონლო ნიშნის "მითანა" საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად აღიარება; 2) განცხადება სასაქონლო ნიშნის "მითანა" (საიდ.№75890/03) რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ; 3) განცხადება მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის "მითანა MEATANA" (რეგისტრაციის №24014) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ნათელია, რომ ეს სამი ობიექტი სრულიად განსხვავებულია და მათ არანაირი კავშირი არ აქვს ერთმანეთთან. ნუგზარ ქსოვრელის განმარტებით, საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ სარჩელი მიჩნეულ იქნას დასაშვებად აუცილებელია სარჩელში მითითებული იყოს თუ რაში მდგომარეობს იმ აქტის უზუსტობა, რომლის გასაჩივრებაც ხდება. აპელაციაში არსადაა მითითებული, თუ რაში მდგომარეობს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის №258/03 ბრძანების უზუსტობა, არადა აპელაციით სწორედ აღნიშნული ბრძანებაა გასაჩივრებული და მოთხოვნილია მისი ბათილად ცნობა.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად და ასევე „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ თანახმად დაუშვებელია, რომ მესამე პირმა მოითხოვოს უკვე რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება სააპელაციო პალატაში წარდგენილი აპელაციით. მითუმეტეს დაუშვებელია მესამე პირის მოთხოვნით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე. აღნიშნული ნორმის საფუძველზე რეგისტრაციის გაუქმების უფლება აქვს თავად საქპატენტს და ეს ნორმა მუშაობს მხოლოდ უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადზე ექსპერტიზის დროს. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია მესამე პირის მიერ სააპელაციო პალატაში წარდგენილი აპელაციით მოთხოვნილ იქნეს რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება არის დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში. თუმცა კანონი

აქაც აწესებს მკაცრ შეზღუდვას, კერძოდ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სააპელაციო პალატაში შესაძლებელია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გასაჩივრება ბიულეტენში რეგისტრაციის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში. მოცემულ შემთხვევაში ეს სამთვიანი ვადა დიდი ხნის გასულია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ აპელაცია არ უნდა იყოს განსახილველად დაშვებული მთელი რიგი სამართლებრივი ნორმების დარღვევის გამო. ალექსანდრე ქამუშაძის წარმომადგენლის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების ნორმები, არსებობს პარიზის კავშირის ანსამბლეს და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური ანსამბლეს მიერ ისმო-ს წევრი ქვეყნების ანსამბლეს შეკრების 34-ე სესიაზე დამტკიცებული “ერთობლივი რეკომენდაციები საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების დაცვის დებულებების შესახებ”. სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შესახებ მსჯელობისას ისმოს-ს წევრი ყველა ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნულ რეკომენდაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებს იშველიებს აპელანტიც, თუმცა მათ არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს და ამასთან მოჰყავს ეს ნორმები არა მთლიანობაში, არამედ უთითებს მხოლოდ იმ ნაწილებს, რაც მისი აზრით მისთვის მომგებიანია.

აპელანტი არ უთითებს იმაზე, თუ რა თარიღიდან უნდა იყოს მიჩნეული სასაქონლო ნიშანი „მითანა“ საყოველთაოდ ცნობილად, ანუ არ არის მითითებული კონკრეტული თარიღი, საიდანაც აპელანტი თვლის, რომ უნდა მოხდეს სადავო ნიშნის საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად მიჩნევა. არადა მიჩნევის თარიღი არის უმთავრესი პირობა, რადგან მასთან მიმართებაში უნდა მოხდეს ყველა იმ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, რომელთა საშუალებითაც ცდილობს აპელანტი ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობის დამტკიცებას. უფლებამოსილი ორგანო დამამტკიცებელი დოკუმენტაციის შესწავლისას უმთავრეს ყურადღებას უნდა აქცევდეს იმას, თუ რამდენადაა კორელაციაში ამ დოკუმენტებში

მოყვანილი მტკიცებულებები თარიღთან საიდანაც მოითხოვება ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად მიჩნევა. მიჩნევის თარიღს, რომ აქვს გადამწვევტი მნიშვნელობა ცალსახად ჩანს ისმო-ს რეკომენდაციებიდანაც, კერძოდ, მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ წვერი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საყოველთაოდ აღიარებული ნიშნების დაცვას იმ თარიღიდან, რომლიდანაც ეს ნიშანი გახდა საყოველთაოდ ცნობილი. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აღნიშნულია თარიღი, რომლიდანაც ნიშანი გახდა საყოველთაოდ ცნობილი და არა თარიღი, როდესაც უფლებმოსილმა ორგანომ გამოიტანა გადაწვევტილება ნიშნის საყოველთაოდ აღიარების შესახებ. მიჩნევის თარიღის მნიშვნელობაზე უთითებს საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, კერძოდ, მისი მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი არსობრივად ითვალისწინებს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმას, თუ იგი იდენტურია ან აღრევამდე მსგავსია საყოველთაოდ ცნობილად აღიარებული სასაქონლო ნიშნისა და ამასთან, თარიღი, რომლიდანაც ნიშანი გახდა საყოველთაოდ ცნობილი უფრო აღრინდელია ვიდრე სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღი. რაც შეეხება 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, იგი ითვალისწინებს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების ბათილად ცნობას, რომლებიც რეგისტრირებულია მე-5 მუხლის, მათ შორის, ზემოაღნიშნული პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევით. ამ მუხლების შინაარსის გააზრებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად მიჩნევის თარიღს, რადგან ამის გარეშე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამართლებრივ კაზუსებს.

ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად მიჩნევის თარიღს კიდევ უფრო გადამწვევტი მნიშვნელობას ანიჭებს სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში დიდი გამოცდილების მქონე ბევრი ქვეყანა, მათ შორის რუსეთის ფედერაცია, რომლის სამოქალაქო კოდექსის 1508-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არ შეიძლება იყოს მიჩნეული საყოველთაოდ ცნობილად, თუ იგი ფართოდ გახდა ცნობილი სხვა პირის კუთვნილი, იდენტური ან აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის

პრიორიტეტის თარიღის შემდეგ.

მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, ისმოს რეკომენდაციების მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულია ექვს პუნქტად ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებაზე მსჯელობისას. ამ პუნქტებში მოთხოვნილია წარმოდგენა შემდეგი ინფორმაციისა:

1. ნიშნის ცნობადობის ან აღიარების ხარისხი საზოგადოების შესაბამის სექტორში.

2. ხანგრძლივობა, მოცულობა და გეოგრაფიული არე ნიშნის გამოყენებისა.

3. ხანგრძლივობა, მოცულობა და გეოგრაფიული არე ნიშნის პრომოციისა, რეკლამირების, ან ბაზრობებზე ან გამოფენებზე საქონლის ან/და მომსახურების, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს ნიშანი გასაჯაროების და პრეზენტაციის ჩათვლით.

4. ხანგრძლივობა და გეოგრაფიული არე ნიშნის რეგისტრაციისა ან/და ნებისმიერი სარეგისტრაციო განაცხადისა, იმ მოცულობით, რომლითაც წარმოჩენილია ამ ნიშნის გამოყენება ან ცნობადობა.

5. დოკუმენტები, რომლებიც გამოხატავს ნიშანზე უფლებების წარმატებულ რეალიზაციას, მათ შორის, იმ მოცულობით, რომლითაც ეს ნიშანი იყო აღიარებული საყოველთაოდ ცნობილად უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

6. ფასეულობა მჭიდროდ დაკავშირებული ნიშანთან.

აპელანტს საერთოდ არ წარმოუდგენია 4-6 პუნქტებით გათვალისწინებული არანაირი ინფორმაცია, თუ მტკიცებულება. უფრო მეტიც, აპელანტს არათუ არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელიც გამოხატავდა ნიშანზე უფლებების წარმატებულ რეალიზაციას, არამედ მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე მოღვაწეობს (მისივე ინფორმაციით) 2007 წლიდან და შესაბამისად იყენებს სადავო ნიშანს საერთოდ არ ჩაუთვლია საჭიროდ აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია 2014 წლამდე. აღნიშნული ცალსახად მეტყველებს, რომ აპელანტი არათუ ვერ წარმოადგენდა 4-6 პუნქტით მოთხოვნილ დოკუმენტაციას, არამედ საერთოდ არანაირი ქმედება არ განუხორციელებია ამ კუთხით თავისი მოღვაწეობის დაწყებიდან

დღემდე.

რაც შეეხება 1-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სადავო ნიშნის ცნობადობის კვლევა და ინფორმაცია აპელანტის მიერ გაწეული სარეკლამო ხარჯების შესახებ. განვიხილოთ რამდენად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ზემოაღნიშნული მასალა ისმო-ს რეკომენდაციების 1-3 პუნქტების მოთხოვნების დაკმაყოფილებად.

სადავო ნიშნის ცნობადობის განხილვისას კვლევის სათანადოობა ისმო-ს რეკომენდაციების პირველი პუნქტის მოთხოვნებთან. სადავო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებისათვის საჭიროა წარმოდგენილი იყოს მასალა ამ სასაქონლო ნიშნის ცნობადობაზე და არა მისი მწარმოებლის ცნობადობაზე. არადა წარმოდგენილი კვლევა სწორედ ამაზე მეტყველებს. კითხვაზე გსმენიათ თუ არა ბრენდ „მითანას“ შესახებ 77%-მა უპასუხა, რომ სმენია, თუმცა მეორე კითხვაზე რა არის „მითანა“ მხოლოდ 0,4%-მა უპასუხა, რომ ის სავაჭრო ბრენდია. აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას საერთოდ წარმოდგენა არ აქვს, რომ „მითანა“ არის სასაქონლო ნიშანი. არადა სადავო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებისათვის აუცილებელია, რომ გამოკითხვამ აჩვენოს სასაქონლო ნიშნის ცნობადობა და არა მწარმოებლის საფირმო დასახელების ცნობადობა. აღნიშნულ ასპექტს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ აქვს იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ მსოფლიოში არსებობს მრავალი ძალიან ცნობილი ბრენდი (სასაქონლო ნიშანი), რომლის მწარმოებლის საფირმო დასახელება ძალიან ცოტა ადამიანისთვის თუა ცნობილი, მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი „Marlboro“, თუმცა მისი მწარმოებელი, რომ კომპანია „ფილიპ მორისია“ ბევრად ნაკლებმა ადამიანმა იცის მსოფლიოში. გამოკითხვის აღნიშნული ასპექტი (ანუ მხოლოდ 0,4%-ის ინფორმირებულობა იმაზე, რომ „მითანა“ სავაჭრო ბრენდია) ბადებს საფუძვლიან ეჭვს საერთოდ ცნობადობის კვლევის კვალიფიციურობასა და სამართლიანობაზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ გამოკითხულ ადამიანთა 60%-ში, ანუ 600 კაცში პრაქტიკულად არავინ არ იცოდეს (იცოდა მხოლოდ 4 კაცმა), რომ ბრენდი და სასაქონლო ნიშანი პრაქტიკულად სინონიმებია.

აღნიშნული სიტყვები, რომ სინონიმებია ამას ადასტურებს სიტყვა „ბრენდის“ (Brand) განმარტებითი ლექსიკონები. კვლევის კვალიფიციურობაზე ეჭვს აღრმავებს მესამე კითხვის შინაარსიც. გაუგებარია იმის გასაგებად ცნობილია თუ არა სადავო ნიშანი, რა საჭიროა კითხვის დასმა, თუ რა პროდუქციას აწარმოებს კომპანია „მითანა“. ნათელია, რომ ამ კითხვას არანაირი კავშირი არ აქვს სასაქონლო ნიშნის ცნობადობასთან.

ცნობადობაზე კვლევა არანაირ ინფორმაციას არ იძლევა იმის შესახებ, თუ როდიდან (ანუ რა თარიღიდან) იცნობს მომხმარებელი სადავო ნიშანს. აღნიშნული მომენტი აუცილებელია სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებაზე მსჯელობისას.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს წარმოდგენილი კვლევა არანაირ კორელაციაში არაა ისმო-ს რეკომენდაციების მოთხოვნებთან და შესაბამისად, მის საფუძველზე შეუძლებელია მსჯელობა სადავო ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობაზე.

რაც შეეხება ინფორმაციას აპელანტის მიერ გაწეული სარეკლამო ხარჯების შესახებ, არაა სადავო, რომ რეკლამისთვის მართლაც მნიშვნელოვანი თანხებია დახარჯული, თუმცა აღნიშნულ დანახარჯებს, რომ სადავო ნიშნის ცნობადობის თვალსაზრისით არანაირი შედეგი არ გამოუღია ნათლად ჩანს ზემოაღნიშნული კვლევიდან.

გარდა ამისა, ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების თარიღი, მჭიდრო კავშირშია ისმო-ს რეკომენდაციებში მითითებულ მოთხოვნებთან, მათ შორის ამ მოთხოვნების მე-2 და მე-3 პუნქტებთან. ნიშნის საყოველთაოდ აღიარების შესახებ მსჯელობისას უნდა იყოს ნაჩვენები, რომ ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების თარიღამდე სასაქონლო ნიშანი უნდა გამოიყენებოდეს დიდი ხნის განმავლობაში და შესაბამისად მისი რეკლამირებისათვის ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს ხანგრძლივი ვადით. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების თარიღი არ არის მითითებული აპელაციაში, მასში მოყვანილი მხოლოდ შვიდი წლის მონაცემები ვერანაირად ვერ ჩაითვლება სადავო ნიშნების ხანგრძლივად, მაღალი ინტენსივობითა და მოცულობით გამოყენების მაჩვენებლად.

საყურადღებოა ისმო-ს რეკომენდაციების ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ შესაძლოა დაკმაყოფილებული იყოს მასში მოყვანილი ექვსი ძირითადი პუნქტის მოთხოვნა, მაგრამ ნიშანი მაინც არ იყოს აღიარებული საყოველთაოდ ცნობილად და მის ასეთად აღიარებისათვის საჭირო გახდეს ბევრი სხვა დამატებითი მასალის წარმოდგენა. მოცემულ შემთხვევაში კი არათუ დამატებითი მასალაა წარმოდგენილი, არამედ პრაქტიკულად არცერთი ზემოთ აღნიშნული პუნქტის მოთხოვნა არაა შესრულებული. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება საკმაოდ საპასუხისმგებლო პროცესია და მოითხოვს მრავალი ნიუანსისა და წერილმანის სამართლებრივ ჭრილში გათვალისწინებას. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ისეთ დიდ ქვეყანაში როგორცაა რუსეთის ფედერაცია და რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს დღემდე მხოლოდ 109 ნიშანია საყოველთაოდ აღიარებული, ხოლო საქართველოში კი მხოლოდ ერთი ნიშანია აღიარებული საყოველთაოდ ცნობილად. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი მასალა შეუძლებელია ჩაითვალოს საკმარისად სადავო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად მისაჩნევად.

ნუგზარ ქსოვრელის განმარტებით, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის №258/03 ბრძანების ბათილად მიჩნევისა და შესაბამისად, სადავო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნის მართლზომიერების შესახებ მსჯელობისას აპელანტი არსად არ უთითებს, თუ რაში მდგომარეობს ზემოაღნიშნული ბრძანების უზუსტობა. თუმცა აღნიშნული მომენტი თავისთავად გასაგებია, რადგან შეუძლებელია რაიმე სამართლებრივი უზუსტობის მითითება აღნიშნულ ბრძანებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ბრძანებით აპელანტს უარი ეთქვა სადავო ნიშნის რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად. აღნიშნული სამართლებრივი ნორმის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი –

იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. შეუძლებელია იმის სადაოდ გახდა, რომ სადავო ნიშანი და მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული ნიშანი აღრევამდე ერთმანეთის მსგავსია, ასევე არაა სადაო იმ საქონლის იდენტობა, რომლის მიამრთაც მოთხოვნილია სადავო ნიშნის რეგისტრაცია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ აპელანტი ვერანაირ არგუმენტს ვერ მოიტანდა სადავო ნიშნისა და მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული ნიშნის განსხვავების დასამტკიცებლად, შესაბამისად, აპელანტმა საერთოდ გვერდი აუარა ბრძანების უზუსტობაზე მსჯელობას, თუმცა სრულიად უსაფუძვლოდ მაინც მოითხოვა ამ ბრძანების ბათილად ცნობა და შესაბამისად, სადავო ნიშნის რეგისტრაცია. მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, როგორც ყველა სხვა მოთხოვნა, ასევე სრულიად უსაფუძვლოა აპელანტის მოთხოვნა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის "მითანა MEATANA" (რეგისტრაციის №24014) რეგისტრაციის გაუქმებაზე. აპელანტის აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნება სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრების წარდგენის შესაძლებლობას სააპელაციო პალატაში, არც ამავე კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრების წარდგენის შესაძლებლობას სააპელაციო პალატაში დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მიმართ და არც საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება არ ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნას სააპელაციო პალატაში მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით. აღნიშნული ნორმა დაწესებულია მხოლოდ საქპატენტის ექსპერტიზისათვის და იგი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის პროცესში გამოვლინდა უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადი, ვიდრე დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტია. აღნიშნულ ნორმას საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვს სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებასთან, რის გამოყენებასაც მოცემულ შემთხვევაში



ცდილობს აპელანტი.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტში ცალსახადაა საუბარი პრიორიტეტზე და არა რაიმე სხვა თარიღზე. თავად პრიორიტეტის რაობა კი განმარტებულია მე-11 მუხლით. ამ მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ პრიორიტეტი უდგინდება მხოლოდ საქპატენტში წარდგენილ განაცხადს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით და არა ნიშნის საყოველთაოდ აღიარების მოთხოვნას. გარდა ამისა, ამავე მუხლიდან ჩანს, რომ პრიორიტეტი შეიძლება იყოს საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღით, ან საკონვენციო პრიორიტეტი ან საგამოფენო პრიორიტეტი, სხვა რაიმე სახის პრიორიტეტს კანონმდებლობა არ ცნობს.

გარდა ამისა, საინტერესოა თავად აპელანტი რა თარიღს მიიჩნევს სადავო ნიშნის პრიორიტეტად (თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ სრულიად უსაფუძვლოდ მოხდება სადავო ნიშნის საყოველთაოდ აღიარება), იგი ხომ არსად არ უთითებს, თუ რა თარიღიდან უნდა იქნეს მიჩნეულ ნიშანი საყოველთაოდ ცნობილად აღიარებულად და მისი ლოგიკით ამ თარიღის გაიგივება პრიორიტეტთან, თუ მისთვის სულერთია რა თარიღი ჩაითვლება ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების თარიღად, მთავარია, რომ ეს თარიღი იყოს უფრო ადრინდელი, ვიდრე მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანის პრიორიტეტის თარიღი. ცხადია, რომ აპელანტის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაშიც სრულიად ალოგიკურია.

ზემოაღნიშნულიდან ცალსახაა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სრულიად უსაფუძვლოდ მოხდება სადავო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება, არ არსებობს არანაირი სამართლებრივი საფუძველი მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ალექსანდრე ქამუშაძის წარმომადგენელი ითხოვს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას და საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის №258/03 ბრძანების ძალაში დატოვებას, ასევე სასაქონლო ნიშნის "მითანა MEATANA" (რეგისტრაციის №24014)

რეგისტრაციის ძალაში დატოვებას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იმსჯელა ალექსანდრე ქამუშაძის წარმომადგენლის არგუმენტაციაზე, სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით იმ საფუძველით, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნული დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, თუ იგი ეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მხოლოდ ერთ განაცხადს. კოლეგია მიიჩნევს რომ სააპელაციო საჩივარი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი ეხება მხოლოდ ერთი სასაქონლო ნიშნის „მითანა“ (საიდ. №75890/03) განაცხადზე გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. აღნიშნულ განაცხადთანაა ასევე დაკავშირებული აპელანტის თანმდევი მოთხოვნები ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების თაობაზე და რეგისტრირებული ნიშნის გაუქმების თაობაზე, რაც აპელანტის მოსაზრებით, აუცილებელია ძირითადი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამდენად, ასეთი სახის მოთხოვნები არ ეწინააღმდეგება საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებს.

რაც შეეხება დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, აღნიშნულის თანახმად, „სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რაში მდგომარეობს აქტის უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი.“ კოლეგიას მიჩნია, რომ არ არსებობს არც აღნიშნული საფუძველით სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის პირობა, რადგან აპელანტი, თავის სააპელაციო მოთხოვნას აფუძნებს მისი განცხადებული ნიშნის, „მითანა“-ს (საიდ. №75890/03) საყოველთაოდ ცნობილობაზე, რაც მისი მოსაზრებით, წარმოადგენს აქტის უსწორობას და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს.

ამდენად, კოლეგიის აზრით, აპელანტის მოთხოვნა დასაშვებია და იგი წარმოებაში მიღებულია სააპელაციო პალატის დებულების მოთხოვნათა სრული დაცვით.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა აპელანტის, შპს „მითანა“-ს წარმომადგენელი პატენტრწმუნებულის, გიორგი თაქათაქიშვილისა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „მითანა“-ს (რეგ. №24014) მფლობელის, ალექსანრე ქამუშაძის წარმომადგენელი პატენტრწმუნებულის, ნუგზარ ქსოვრელის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის „მითანა“ (რეგ. №24014) გაუქმების თაობაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნული მუხლის თანახმად, „თუ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შევა უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი და დაჩქარებული წესით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით იარსებებს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და აქვეყნებს ბიულეტენში.“ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე ღვინდება განაცხადის შეტანის თარიღით, ასევე პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნის პირველი განაცხადის შეტანის თარიღით, ან პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე ექსპონატის გამოფენის პირველი დღით თუ განაცხადის შეტანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა. გამომდინარე იქიდან, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაჩქარებული წესით რეგისტრაციის ათდღიანი პროცედურა ვერ უზრუნველყოფს განაცხადზე სამრეწველო

საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით გათვალისწინებული საკონვენციო და საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის უფლების განხორციელებას, კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის მიზანია, ამგვარ განაცხადებზე აღნიშნული პრიორიტეტებით სარგებლობის უფლების აღდგენა. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადებზე, რომლებიც საქპატენტში შევა ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, განაცხადის შეტანამდე საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, გამიჯნულია უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამო უარის თქმის „ა“, „ბ“, „გ“, „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებისაგან, რაც ასევე ხაზს უსვამს კანონის განსხვავებულ მიდგომას ამ ორი საკითხის მიმართ. ამდენად, კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ ნიშნებზე, რომელთა საყოველთაოდ ცნობილობა დასტურდება თუნდაც უფრო ადრინდელი პერიოდით. შესაბამისად, კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, აპელანტის მოთხოვნა, აღექსანდრე ქამუშაძის სახელზე რეგისტრირებული ნიშნის „მითანა MEATANA“-ს გაუქმების თაობაზე იმ მოტივით, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი საყველთაოდ ცნობილი იყო აღნიშნული ნიშნის რეგისტრაციის მომენტისათვის უსაფუძველოა.

ამასთან, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „ბიულეტენში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მონაცემების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, სააპელაციო პალატაში შეიტანოს საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მხოლოდ იმ მოტივით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნები.“ აღსანიშნავია, რომ აპელანტს არ გამოუყენებია სასაქონლო ნიშნის „მითანა“ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებამოსილება,

კერძოდ, სასაქონლო ნიშანი „მითანა“ (რეგ. №24014) ბიულეტენში გამოქვეყნდა 2013 წლის 25 სექტემბერს, შესაბამისად, ნიშნის დანქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ ბრძანების გასაჩივრების სამთვიანი ვადა გავიდა 2013 წლის 25 დეკემბერს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ ასევე, განიხილა აპელანტის წარმომადგენლის მოთხოვნა განცხადებული სასაქონლო ნიშნის „მითანა“-ს საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შესახებ.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6-ბის მუხლის შესაბამისად – სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდება საქპატენტის სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერესებული პირის მოთხოვნით“. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების (TRIPS) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „იმის დასადგენად, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, წევრი სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სასაქონლო ნიშნის შესახებ საზოგადოების შესაბამის წრეებში არსებულ ცოდნას, მათ შორის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მის შესახებ არსებულ ცოდნას, რაც სასაქონლო ნიშნის რეკლამირების შედეგად იქნა შექმნილი“.

ამასთან, რამდენადაც არ არსებობს საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების ზოგად და ფორმალურ კრიტერიუმებს (მაგ., რა კატეგორიის მომხმარებელთა რამდენი პროცენტისათვის უნდა იყოს ნიშანი ცნობილი; ფაქტიური გამოყენების მოცულობა, ხანგრძლივობა, გავრცელება და სხვა), სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებისას, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, გამოიყენება სხვადასხვა საფუძველი, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ხდება კომპეტენტური უწყების მიერ კონკრეტული გარემოებების შეფასების საფუძველზე.

1999 წლის 20-29 სექტემბერს პარიზის კონვენციის ქვეყნების გაერთიანებული ასამბლეის და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო

ორგანიზაციის ისმო-ს (რომელიც ასორციელებს პარიზის კონვენციის ადმინისტრირებას) ასამბლეის მიერ დამტკიცებული ერთიანი რეკომენდაციები საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ, მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმის დადგენისას არის თუ არა ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, კომპეტენტურმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ნებისმიერი გარემოება, რომლიდანაც შესაძლებელია დადგინდეს, რომ ნიშანი საყოველთაოდ ცნობილია. მათ შორის კომპეტენტურმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლიდანაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე არის თუ არა ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, მათ შორის:

1. საზოგადოების შესაბამის სექტორში ნიშნის ცნობილობის ხარისხი;
2. ნიშნის გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გავრცელების და გეოგრაფიული არეალი;
3. საზოგადოებისათვის ნიშნის გაცნობის ხელშეწყობის ღონისძიებების, მათ შორის რეკლამისა და გამოქვეყნების და ამ ნიშნით მონიშნული საქონლისა და/ან მომსახურების ბაზრობებსა და გამოფენებზე წარდგენის ხანგრძლივობა, და გავრცელების გეოგრაფიულ არეალი;
4. გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გეოგრაფიული არეალი ნებისმიერი რეგისტრაციისა, ან/და ნიშნის რეგისტრაციის მიზნით ნებისმიერი განაცხადი, იმდენად რამდენადაც ის ასახავს ნიშნის გამოყენებასა და ცნობადობას;
5. ნიშანზე უფლებების წარმატებული განხორციელება, რამდენადაც ნიშანი აღიარებულ იქნა საყოველთაოდ ცნობილად კომპეტენტური ორგანოების მიერ;
6. ნიშანთან დაკავშირებული ღირებულება.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის მიერ წარმოდგენილი მასალები, სოციოლოგიური კვლევის შედეგები, სასაქონლო ნიშნის „მითანა“ რეკლამირებისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები და სხვა თანდართული დოკუმენტაცია

და მიიჩნია, რომ განცხადებული ნიშანი უნდა იქნეს აღიარებული საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად შემდეგი გარემოებების გამო:

შპს „მითანა“-ს მიერ წარმოდგენილი სოციოლოგიური კვლევის თანახმად, სასაქონლო ნიშნის - „მითანა“ შესახებ სმენია გამოკითხულ მომხმარებელთა 77% პროცენტს, ხოლო გამოკითხულთა 60%-მა, კითხვაზე რა არის მითანა, უპასუხა, რომ იგი ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიაა. კითხვაზე რა ტიპის პროდუქციას აწარმოებს 69%-მა უპასუხა - ხორცპროდუქტები. საქართველოს მასშტაბით კვლევა ჩატარდა რამოდენიმე მსხვილ ქალაქში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, ზუგდიდსა და ფოთში.

გარდა ამისა, აპელანტის წარმომადგენლის მიერ, წარმოდგენილ იქნა შპს „მითანა“-ს 2008 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საგადასახადო დავალების ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ ამ პერიოდში აპელანტმა სარეკლამო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, სხვადასხვა კომპანიების სახელზე მთლიანობაში გადარიცხა დაახლოებით 500 000 (ხუთასი ათასი) ლარზე მეტი. როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, შპს „მითანა“-ს პროდუქციის რეკლამირება ხდებოდა, როგორც რადიო, ასევე ტელე-სამაუწყებლო ორგანიზაციებში. ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „მითანა“ იყო სხვადასხვა სატელევიზიო პროექტის სპონსორი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა სასაქონლო ნიშნის „მითანა“ და ამ ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის პოპულარიზაციასა და მისი ცნობადობის ამაღლებას. გარდა ამისა, აპელანტმა წარმოადგინა ამ წლების განმავლობაში სარეკლამო მომსახურების მიღების მიზნით ხელმოწერილი ხელშეკრულებების ასლები, რომლის მიხედვითაც აპელანტს დადებული აქვს დაახლოებით 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ 2008 წლიდან 2014 წლამდე შპს „მითანა“-ს ბრუნვა საერთო ჯამში იყო 46 210 000 (ორმოდრეკასიმილიონ ორასათიათასი) ლარი.

შპს „მითანა“ 2008 წლიდან მოყოლებული 2013 წლის ჩათვლით, ეწეოდა მისი ნიშნის ქვეშ ნიშანდებული პროდუქციის რეკლამირებას და პოპულარიზაციას. შპს „მითანა“-ს 2011 წლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 8000000 (რვა მილიონი) ლარი, 2012 წელს - 14000000 (თოთხმეტი მილიონი)

ლარი, ხოლო 2013 წელს - 15 000000 (თხუთმეტი მილიონ) ლარზე მეტი. ჯამში, სამი წლის ბრუნვამ შეადგინა დაახლოებით 40000000 (ორმოცი მილიონი) ლარი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ არ გაიზიარა, ალექსანდრე ქამუშაძის წარმომადგენლის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტს არ წარმოუდგენია რეკომენდაციების 4-6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კოლეგია აღნიშნავს, რომ ერთიანი რეკომენდაციების საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ მე-2 მუხლში მითითებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია (მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ და გათვალისწინებულ იქნეს ყველა ერთად, ან რომელიმე ერთი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კოლეგიამ მიიჩნია, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ სასაქონლო ნიშანი „მითანა“ (საიდ. №75890/03) აღიარებულ იქნეს საყოველთაოდ ცნობილად საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლიანი სასაქონლო ნიშნის „მითანა“ (საიდ. №75890/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ბრძანება.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით, მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ე კ ი ტ ა :

1. შპს „მითანა“-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.



2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის №258/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის „მითანა“ (საიდ. №75890/03) დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „მითანა“ (საიდ. №75890/03) აღიარებულ იქნას საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად.
4. უარი ეთქვას შპს „მითანა“-ს სასაქონლო ნიშნის „მითანა MEATANA“ (რეგ. №24014) რეგისტრაციის გაუქმებაზე.
5. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ი. მუღალაშვილი